ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

8 აგვისტო
ხუთშაბათი
2024 წელი
№32(9346)
ფასი 40 თეთრი

იწყება სტაჟირების სამთავრობო პროგრამა

2024 წლის სექტემბრიდან, კურსდამთავრებულთა 4-თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირების სამთავრობო პროგრამა იწყება.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსს, რომელიც ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას, გაიარონ სტაჟირება და დაეუფლონ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

დაინტერესებულმა პირებმა შეაგსეთ განაცხადი შესაბამის ლინკზე:

პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურის სამსახურში სტაჟიორი ადგილების რაოდენობა - 3.

https://www.hr.gov.ge/JobProvider/UserOrgVaks/Details/88340...

მერიის ინფორმაციული ტექნოლოგიების სტაჟიორი, ადგილების რაოდენობა - 1.

https://www.hr.gov.ge/JobProvider/UserOrgVaks/Details/88606...

ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მონიტორინგისა და ზედამხედველობის განყოფილების სტაჟიორი ადგილების რაოდენობა - 1.

https://www.hr.gov.ge/JobProvider/UserOrgVaks/Details/88467...

ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების სტაჟიორი ადგილების რაოდენობა - 1.

https://www.hr.gov.ge/JobProvider/UserOrgVaks/Details/88537...

განაცხადის შევსების ბოლო ვადაა 2024 წლის 8 აგვისტო.

რეინჯერები ბუნების დაცვის საფარაჯოზე

რეინჯერთა მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში საზეიმოდ გაიმართა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, **ოთარ შამუგიამ**, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ **ბესიკ კუსიდთან** ერთად რეინჯერებს პროფესიული დღე მიულოცა.

რეინჯერთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში, ხელს, ტრადიციულად, დაცული ტერიტორიების ყველა ადმინისტრაციაში „წლის რეინჯერი" გამოვლინდა, რომელთაც სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ; გაიმართა რეინჯერების მიერ გადაღებული ფოტოების გამოფენაც.

ღონისძიებაზე გაიხსენეს და პატივი მიაგეს ყველა იმ რეინჯერს, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპნენ.

- დღეს აღვნიშნავთ რეინჯერთა მსოფლიო დღეს. მინდა მივულოცო თითოეულ რეინჯერს დღევანდელი დღე და განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო იმ სამსახურისთვის, რასაც ეწევიან ჩვენი უნიკალური ბუნების დაცვისთვის. რა თქმა უნდა, პატივს მივაგებთ იმ ადამიანების ხსოვნას, ვინც ბუნების დაცვისათვის შეეწირნენ და ყველაზე უკეთესი, თავიანთი სიცოცხლე გაწირეს ამ საქმისთვის. ჩვენი ქვეყნის უნიკალური ბუნების დაცვას 450-მდე რეინჯერი ემსახურება. მათ საქმიანობაში შედის ბრაკონიერობის ფაქტების აღკვეთა და დაუდევრობით გამოწვეულ ხანძრებთან გამკლავება, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, ვიზიტორთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა და მათი ინფორმირება. ეს არის, მე ვიტყოდი, საპატიო საქმე და სახელმწიფო ზრუნავს და აუცილებლად იზრუნებს, რომ მათ ჰქონდეთ სათანადო სამუშაო პირობები, აღჭურვილობა, სოციალური გარანტიები და ყველანაირი პირობა იმისთვის, რომ ეფექტიანად განახორციელონ საქმიანობა და იყვნენ დაფასებულები, - განაცხადა გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ოთარ შამუგიამ.**

საქართველოს დაცულ ტერიტორიებს, 24 ტერიტორიულ ადმინისტრაციაში გადანაწილებული 450 რეინჯერი იცავს. რეინჯერების დაცვის ქვეშ საქართველოს ტერიტორიის 13% პრცენტზე მეტია.

მიმდინარე წელს რეინჯერთა მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შვედეთის მთავრობის პროექტის **„გადავარჩინოთ ბუნება-საქართველო"** ფარგლებში გაიმართა.

მონიკა ჭანტურია

სულიერებაზე ზრუნვა უმთავრესია

ბორჯომში საკვირაო სკოლა შენდება

ბოლო რამდენიმე წელია საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში საკვირაო სკოლები გაიხსნა, რომლის უშუალო ინიციატორიც საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე გახლავთ. საკვირაო სკოლის მშენებლობა მიმდინარეობს ბორჯომში, ლიკანის დასახლებაში, რომელიც ჭიათურისა და საჩხერის, ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტ მეუფე დანიელის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება. მშენებლობის მიმდინარეობისა და სამომავლო გეგმების შესახებ, ბორჯომის წმინდა გაბრიელ ალმსარებლისა და სალოსის ტაძრის წინამძღვარი, იდეის სულისჩამდგმელი, დეკანოზი მამა ლუკა რუსაძე გვესაუბრება:

● მამაო, როდის დაიწყო საკვირაო სკოლის მშენებლობა და საბოლოოდ დასრულებული სახით როდის დაიწყებს სკოლა ფუნქციონირებას?

- პირველ რიგში აუცილებლად უნდა ვისაუბროთ იმაზე, რომ უშუალოდ საკვირაო სკოლების მშენებლობის იდეა წამოვიდა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის მხრიდან, როდესაც მან სინოდის სხდომაზე მღვდელმთავრებს მისცა ლოცვა-კურთხევა, რათა ეპარქიებში ყოფილიყო საგანმანათლებლო დანესებულებები, ე.წ. საკვირაო სკოლები მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის. რაც შეეხება ბორჯომის საკვირაო სკოლას, პირადად მეც, ამ კონკრეტულ ლოკაციაზე გამიჩდა სკოლის აშენების იდეა, რომელიც გავანდე ახ უკვე გარდაცვლილ მეუფე ლაზარეს დაახლოებით ოთხი წლის წინ და სწორედ იქიდან მოყოლებული მრევლის შემონირულობებით მოვიდა მშენებლობა იმ მდგომარეობამდე, რა მდგომარეობაშიც ის ახლაა. შენობა იქნება ორსართულიანი და ორივე სართული უკვე თითქმის დასრულებულია უფლის წყალობითა და ისევ მრევლის შემონირულობებითა და მხარდაჭერით, რაც აუცილებლად მინდა აღვნიშნო და ხაზი გავუსვა იმას, რომ ტაძარს ერთი რომელიმე კონკრეტული პიროვნება არ აფინანსებს, მაღე გადაიზრება და 2025 წლიდან სკოლა დაიწყებს ფუნქციონირებას. შენობა სულ 200 კვ.მ შინის ფართობზეა განლაგებული. ასევე სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ჩვენი სკოლა იქნება ერთადერთი ფართო მასშტაბის მქონე საკვირაო სკოლა ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიაში.

● რომელ სივრცეებს მოიცავს შენობა და რისი სწავლება იქნება შესაძლებელი საკვირაო სკოლაში?

- უშუალოდ პირველი სართულის სივრცე დაეთმობა ბავშვებს, სადაც საუბრები წარიმართება ქრისტიანული კულტურისა და ხელოვნების თემატიკის ირგვლივ. საუბრები იქნება საღვთო წერილზე (ძველი და ახალი აღთქმის განმარტებები),

გაიმართება დოკუმენტური, სამეცნიერო და მხატვრული კინო-ფილმების ჩვენება, განიხილება აღზრდის საკითხები, ოჯახის პრობლემები. მრევლში გვყავს ადამიანების ის კატეგორია, რომლებიც ბორჯომის ეკლესია-მონასტრებში გალობენ, დაკავებულნი არიან ხელსაქმით, მუშაობენ თექაზე, ამზადებენ სამკაულებს ბისერებით და ა.შ. სწორედ ეს ადამიანები გაუზიარებენ საკუთარ გამოცდილებას მომავალ თაობას.

მეორე სართულზე დაგეგმილი გვაქვს ზრდასრულებისთვის სივრცე, სადაც ჩვენ ქალაქში მცხოვრებ ყველა ადამიანს ექნება შესაძლებლობა დაესწროს საჯარო ლექციებს ფსიქოლოგებთან, ფილოსოფოსებთან, თეოლოგებთან, რომლებიც გარკვეულ საკითხებში არიან კომპეტენტური პირები. თქვენ გექნებათ საშუალება დაუსვათ შეკითხვები და მიიღოთ პასუხები ამა თუ იმ საკითხებზე. საჯარო ლექციები ჩატარდება ორ კვირაში ერთხელ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აღნიშნულ შენობაში იქნება გამოყოფილი სივრცე, ე.წ. მოსასვენებელი ოთახი, სადაც მონვეულ სტუმარს ექნება შესაძლებლობა, რომ შეხვედრის შემდგომ იქვე დარჩეს და მოისვენოს. ვფიქრობ, რომ მეტად საინტერესო და საჭირო სკოლა იქნება.

● მამაო, სკოლის სახელწოდება უკვე შერჩეულია?

- რაკიღა სკოლის მიმდებარედ წმინდა გაბრიელ სალოსისა და აღმსარებლის სახელობის ტაძარი უკვე დგას, სკოლის სახელწოდებაც იქნება ,,წმინდა მამა გაბრიელის სახელობის საკვირაო სკოლა", რაც ალბათ ლოგიკურიც იქნება.

● თქვენი მოლოდინები როგორია სამომავლოდ, რამდენად გაამართლებს ის ჩანაფიქრი, რაც უშუალოდ სკოლის გახსნის შემდგომ განხორციელდება?

- უდიდეს გვერდში დგომას ვგრძნობთ მეუფე დანიელის მხრიდან. მოხარულია, რომ ჩვენ ეპარქიაში საკვირაო სკოლა შენდება, სამუშაოების მიმდინარეობა პირადად ნახა.

მგონია, რომ ის, რაც სამომავლოდ დაგეგმილი გვაქვს, აუცილებლად გაამართლებს ჩვენს მოლოდინებს, რადგანაც მოზარდი თაობების ზნეობრივად და სულიერად აღზრდა-ჩამოყალიბება, მომავალი, ჯანსაღი საზოგადოების ძირითადი ფუნდამენტია. ასევე იმედს ვიტოვებთ, რომ ოჯახის წევრები და საზოგადოებაც შეგვინყობს ხელს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს ყოველივე იქნება სრულიად უფასოდ. საკვირაო სკოლის გახსნის მთავარი იდეაც და მიზანიც ხომ ჩვენი მომავალი თაობების აღზრდაში გარკვეული წვლილის შეტანაა. დარწმუნებული ვარ, რომ ერთად ყველაფერს შევძლებთ.

ესაუბრა ნაბო მელიქიძე

სოციალური პროგრამა მოქმედებაში!

ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოქმედი სოციალური პროგრამების ფარგლებში, ივლისის თვეში 1 128 ბენეფიციარს 293 599 ლარის დახმარება გაეწია.

მათ შორის:

190 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის 148 488 ლარი გამოიყო;

110 ბენეფიციარი მედიკამენტების შესაძენად 20 799 ლარით დაფინანსდა;

ონკოლოგიური დაავადებების მქონე 36 პაციენტი 31 032 ლარით დაფინანსდა;

109 მრავალშვილიანი ოჯახი 26 200 ლარით დაფინანსდა;

313 ოჯახი კომუნალური გადასახადებისათვის 11 580 ლარით დაფინანსდა;

100 წელს გადაცილებულ 2 მოქალაქეს 200-200 ლარი ჩაერიცხა;

საკურორტო მომსახურების ფარგლებში, 12 ბენეფიციარი 800-800 ლარი დაფინანსდა;

ასევე, სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედ-მამით ობლებმა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში 25-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება, რომელთა მთავარი მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალური და სოციალური მდგომარეობის ხელშეწყობა და გაუმჯობესებაა.

დაუვიწყარი დღეები - ბანაკში

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინიციატივით და ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერით, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის დაგეგმილი ახალგაზრდული ბანაკი გრანდიოზულად დაიხურა.

დღის პირველ ნახევარში, ბანაკის მონაწილეები სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში - ფრენბურთი, ზიპლაინი, მშვილდ-ისარის სროლა, კედელზე ცოცვა, ჯომარდობა, ჩაერთნენ.

საღამოს კი მათ სადღესასწაულო განწყობაზე მომღერალმა **ირაკლი ნოზაძემ** და **ალექსანდრე ლორთქიფანიძემ** იზრუნეს.

მთელი დღის განმავლობაში ადგილზე იმყოფებოდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ფერაძე**, მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე**, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე **ლევან თედიაშვილი**, მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობასთან ურთიერთობისა და ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელი **შალვა გოგოლაძე**, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი **ხათუნა ხარაზიშვილი** და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

ახალგაზრდულ ბანაკში დამამთავრებელი კლასის 130-მდე მოსწავლე იყო ჩართული.

შეგახსენებთ, რომ ბანაკი 1 აგვისტოს ოფიციალურად გაიხსნა და 5 აგვისტოს გრანდიოზულად დაიხურა.

საღეჭისო თემაზე

ქართველთა უდიდესი ტრაგედია!

საქართველოს და კერძოდ, ბორჯომის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიულ პრობლემებზე წელიწადში ორჯერ, ხან სამჯერაც დამიწერია მეტად მწავე ანალიტიკური წერილები. სამწუხაროდ, ერის ამ ურთულესი, მე ვიტყოდი, დანაშაულებრივი პრობლემის გადასაწყვეტად, არც ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებიდან და არც საზოგადოების წარმომადგენლებიდან რედაქციაში არც გამოხმაურება და არც რაიმე წინადადება მიგვიღია. ასე მგონია, ერის გამრავლების საკითხი ხელისუფლებას არც აწუხებს და არც საზოგადოებას. ეს რომ ასეა, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით მინდა გაგაცნოთ.

არაერთხელ გავაჟღერე გაეროს ოფიციალური მონაცემები, იმის შესახებ, რომ 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა 28 პროცენტით, ანუ მილიონ 170 ათასი კაცით შემცირდება. ამავდროულად უახლესი კვლევებით აზიიდან და აფრიკიდან თავის გადასარჩენად მილიარდზე მეტი მიგრანტი დაიძვრება ევროპისაკენ, რა თქმა უნდა, ისინი საქართველოშიც გვეწვევიან.

დემოგრაფთა უკანასკნელი კვლევებით 2050 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობა 10 მილიარდს გადააჭარბებს, და ბუნებრივ რესურსებზე მოთხოვნილება კიდევ უფრო გაიზრდება. იმ დროისათვის მეცნიერების პროგნოზით შიმშილის საფრთხე 3,5 მილიარდ ადამიანს შეექმნება, ხოლო სასმელი წყლის დეფიციტს ამჟამად უკვე 2,6 მილიარდი ადამიანი განიცდის.

რა ვითარებაა საქართველოში დემოგრაფიული თვალსაზრისით?

1989 წლის საყოველთაო აღწერით საქართველოში 5,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. 2014 წლის აღწერით მოსახლეობის რაოდენობამ 3713804 შეადგინა და 2002 წლის საყოველთაო აღწერასთან შედარებით 667731 ადამიანით შემცირდა.

2024 წელს ახალი საყოველთაო აღწერა გაიმართება და საეჭვოა, საქართველოს მოსახლეობამ 3 მილიონი მაინც შეადგინოს, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამ მილიონში ნახევარ მილიონზე მეტი ეთნიკური აზერბაიჯანელები და სომხები!

სამწუხარო ისაა, რომ საქართველოს მოსახლეობის 85,5 პროცენტი 15 წლიზე უფროსი ასაკისაა, აქედან 16 პროცენტი 64 წლიზე მეტისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ხანდაზმული ადამიანები ჭარბობენ ახალგაზრდებს. ანუ საქართველოს ასაკობრივი დიაგრამა რეგრესიულია, მომაკვდავი ხასიათისაა!

თუ 1929 წლს კავკასიაში 35 პროცენტი ქართველი ცხოვრობდა, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 1970 წელს 28 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2010 წელს 18.95 პროცენტამდე შემცირდა. ახლა კავკასიაში ყოველი მეექვსე მოქალაქე ქართველია. სამაგიეროდ აზერბაიჯანელების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ახლა კავკასიაში ყოველი მესამე აზერბაიჯანელია.

VSAID-ის მონაცემებით მსოფლიოს 232 ქვეყანას შორის საქართველოს მოსახლეობა რიცხოვნობის შემცირების ტემპით მსოფლიოს კატასტროფულ ოცეულშია და მეთექვსმეტე, ხოლო შობადობით 174-ე ადგილზეა.

სამწუხარო სტატისტიკაა, მაგრამ მაინც უნდა დავწერო, თუ 2015 წელს საქართველოში 60 ათასი ბავშვი დაიბადა, მომდევნო 7 წელიწადში ანუ 2023 წელს მხოლოდ 40214 ბავშვი შეგვემატა. როგორც სპეციალისტები ამბობენ, 2031 წლისათვის შობადობა კიდევ უფრო შემცირდება და ეს გამოწვეული იქნება მიგრაციასა და პირველი ბავშვის რიცხვის კლებით. გამოცდილება გვიჩვენებს, როცა პირველი ბავშვი მცირე რაოდენობის იბადება, მეორე და მესამე ბავშვიც სულ უფრო ნაკლები იბადება. ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოში ბავშვების შობადობა კატასტროფულია.

ოჯახებში მომრავლდა კატებისა და ძაღლების რაოდენობა, რაც შეურაცხყოფს კაცობრიობას და გვიკარგავს ადამიანურობას. ადამიანები უარს ამბობენ დედობისა და მამობის ფასეულობებზე, მათ არ სურთ შექმნან ოჯახი, დაბადონ ბავშვები, რასაც შესაძლოა მოყვეს ცივილიზაციის სამყაროს დაღუპვა, - წერს ცნობილი დემოგრაფი, პროფესორი **დავით თოფაძე.**



საქართველოს დემოგრაფიულ უკუსვლაში ლომის წილი უძევს საზღვარგარეთ წასულ ემიგრანტებს, ევროსტატისტიკის მონაცემებით თუ 2016 წელს ემიგრაციაში წავიდა 47086 ადამიანი, მომდევნო წელს 48343, 2018 წელს 54 ათასი, 2020 წელს 66668 ადამიანი, შენგენის (ევროკავშირის) წევრ ქვეყნებში შესვლაზე საქართველოს მოქალაქეებს უარი უთხრეს 2016 წელს - 875 ადამიანს, 2019 წელს - 4690, 2020 წელს 2065 პიროვნებას და ა.შ.

რა ვითარებაა ბორჯომის მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული თვალსაზრისით?

სამწუხაროდ, როგორც მთლიანად საქართველოში, ისე ჩვენს მშობლიურ მუნიციპალიტეტშიც მნიშვნელოვნადაა გაუარესებული დემოგრაფიული მაჩვენებლები. თუ 1994 წელს ბორჯომის რაიონში 486 ბავშვი დაიბადა, 1995 წელს - 554, მომდევნო 1996 წელს - 526, მას შემდეგ წლიდან წლამდე რაიონში შობადობა მცირდება. 2020 წელს მხოლოდ - 288 ბავშვი, 2023 წელს კი 217 ბავშვი შეემატა ჩვენს ხეობას. შესაბამისად იმავე წლებში, რაც ზემოთ აღვნიშნე, მნიშვნელოვნად გაიზარდა სიკვდილიანობა, 1994 წელს გარდაიცვალა 420 ადამიანი, 1996 წელს - 556, 2020 წელს - 283, 2021 წელს - 468, 2022 წელს - 401, ხოლო 2023 წელს - 361. არანაირი მატება დაბადებულებს შორის არაა. ვერც ქორწინებით დავიკვეხნით. 2020 წელს მუნიციპალიტეტში იქორწინა 135 წყვილმა, განქორწინდა - 51, 2021 წელს იქორწინა 169 წყვილმა, განქორწინდა 79 წყვილი. 2022 წელს 177 წყვილმა იქორწინა, განქორწინდა - 88 წყვილი. 2023 წელს 177 წყვილმა იქორწინა, განქორწინდა თითქმის ნახევარი - 83 წყვილი თითქმის ნახევარი).

სწორედ ასეთი სავალალო დემოგრაფიული პრობლემების შედეგია ის, რომ 1989 წელს ბორჯომის რაიონში ცხოვრობდა 40 ათასამდე მაცხოვრებელი, 2002 წლის აღწერით რაიონში დარჩა 30 ათასი ადამიანი, 2014 წლის აღწერით - 25 ათასი, თუ ყოველ 10 წელიწადში ჩავატარებთ აღწერას, ანუ 30-40 წლის შემდეგ მუნიციპალიტეტში მოსახლეობა აღარ იქნება. მერედა ვის ვუტოვებთ ჩვენს კურთხეულ ქვეყანას, რას ეტყვით თქვენი წინაპრების საფლავებს, დადგა დრო დასკვნები გამოვიტანოთ შექმნილი კატასტროფული ვითარებიდან, გავამრავლოთ ერი და გადავარჩინოთ ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო.

როგორც ზემოთ მოყვანილი ციფრებიდან თვალნათლივ ჩანს, საქართველოში დემოგრაფიული პრობლემები 1993 წლიდან დაიწყო, რასაც საფუძველი ჩაუყარა ეროვნული ხელისუფლების ქვეყნის სათავეში მოსვლამ. თვალსა და ხელს შუა დაინგრა ქვეყნის ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, სოციალური სფერო, გაუქმდა ქვეყნის მართვის ორგანოები. გაპარტახდა მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნები, მოიშალა ქვეყნის მართვის სისტემა, უმუშევრად დარჩა ათიათასობით ადამიანი და შვილის გაჩენა-აღზრდისათვის აღარავის ეცალა, დემოგრაფიული პრობლემებისთვისაც აღარავინ იფიქრა და მოვედით ამ გაუბედურებულ სტატისტიკამდე. ახლანდელ ხელისუფლებას დიდი ძალისხმევა მართებს ქვეყნის დემოგრაფიული პრობლემების გამოსწორებისათვის.

ვალერიან ლომიძე

 კულტურის ქრონიკა

ცნობილი კომპოზიტორის უკვდავება

10 ივლისს, თბილისში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, გაიმართა გამოჩენილი კომპოზიტორის, საქართველოს სახალხო არტისტის, თვალსაჩინო პედაგოგის ალექსანდრე შავერზაშვილის 105 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

ცნობილი კომპოზიტორის შემოქმედებასა და მის ოჯახურ ფენომენზე ისაუბრეს მუსიკათმცოდნე ქალბატონმა **თამარ წულუკიძემ**, მისმა ყოფილმა მოსწავლეებმა და სტუდენტებმა.

შავერზაშვილების მუსიკალური დინასტია იწყება ქუთაისიდან, მამა ცნობილი პიანისტი, დირიჟორი და საესტრადო მუსიკის ფუძემდებელი გახლდათ. მისმა დამ საფუძველი ჩაუყარა ქართულ საბავშვო საფორტეპიანო ლიტერატურას, ავტორია საბავშვო ოპერის ,,იავნანამ რა ჰქმნა?".

ბატონი ალექსანდრე 1919 წელს დაიბადა. გარდაიცვალა 2009 წელს. იყო ანდრია ბალანჩივაძის მოსწავლე, ხოლო მისი მოსწავლეები იყვნენ ვაჟა აზარაშვილი, ბიძინა კვერნაძე და სხვები.

შემოქმედებით კონცერტში მონაწილეობდნენ ოპერის მომღერლები **ელდარ გეწაძე** და **სოფო შალამბერიძე,** რომელმაც შეასრულა ჭრიჭინა არია ოპერიდან **„ბარინა“**, საყვარელი პედაგოგი გაიხსენეს **მუსიკოსებმა თამარ ვაშაკიძემ, ლიკა ორაგველიძემ, ლიანა სარჯველაძემ.**

სამადლობელო სიტყვით გამოვიდა სახელოვანი კომპოზიტორის შვილი **გოგი შავერზაშვილი**, რომელმაც შეასრულა მამის ნაწარმოებები, **„ნოქტიურნი“**, რომელიც ბორჯომის კომპოზიტორთა შემოქმედებით სახლში დაიწერა 1986 წელს.

საიუბილეო საღამოს ფონად გასდევდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მხატვრული ქარგვის ოსტატის **ლია მაისურაძის** პერსონალური გამოფენა, ის 24 ნამუშევრით წარსდგა მაყურებლის წინაშე და წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა დამთვალიერებელზე.

საღამოს დასასრულს **გოგი შავერზაშვილმა** მადლობა გადაუხადა პროექტის ავტორებს. ხელოვნების სფეროში ნაყოფიერი მუშაობისათვის დააჯილდოვეს შემოქმედებითი საღამოს სულისჩამდგმელი ჟურნალისტი **ნანა ჭიჭინაძე.**

დალი ქურდაძე

ღირსეულად „არტ-გენზე“

თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში წელს ოცდამეერთედ ჩატარდა „არტ-გენის“ ფესტივალი. აღნიშნულმა ფესტივალმა საქართველოს მრავალი კუთხის ტრადიციული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებს, ასევე საზღვარგარეთიდან მოწვეულ სხვადასხვა შემსრულებლებს უმასპინძლა. აღნიშნულ ფესტივალზე 20 ივლისს სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული მგალობელ-მომღერალთა გუნდი ,,ნენანა“ მონაწილეობდა. სწორედ ,,ნენანამ“ გახსნა საზეიმოდ ფესტივალი. ღონისძიებაზე ანსამბლმა ორი სიმღერა ,,დიდი ხნიდან გაგიცანი“ და ,,ჩარირამა“ შეასრულა. ანსამბლი ბოლო რამდენიმე წელია აქტიურადაა ჩართული „არტ-გენის“ ფესტივალში და სამომავლოდაც აქვთ გეგმები, რათა ღირსეულად წარმოაჩინონ არა მარტო ჩვენი ქალაქი,, არამედ სრულიად რეგიონი.

ნანა ანდღულაძე, ანსამბლ „ნენანას“ ხელმძღვანელი: - ჩვენთვის ორმაგად საპასუხიმგებლო იყო ამ ფესტივალის გახსნა, რადგან სამწუხაროდ, ამ ეტაპზე სრულყოფილად ვერ მიიღო მონაწილეობა ანსამბლის ყველა წევრმა გარკვეული მიზეზების გამო და დიდი სურვილი გვქონდა, რომ ანსამბლის შესაძლებლობა და სახელი სრულყოფილად და ღირსეულად წარმოგვეჩინა. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან მხოლოდ ჩვენი ანსამბლი იყო წარმოდგენილი, კიდევ მეტ პასუხისგებლობას გვაკისრებდა ანსამბლის თითოეულ წევრს. გვიხარია, რომ ძალიან კარგი შეფასება დავიმსახურეთ როგორც მსმენელისაგან, ასევე ფესტივალის ორგანიზატორებისაგან და კვლავ მიწვეული ვართ მომავალ წელს ,,არტ-გენზე". ეს ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია.

ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი ანსამბლის სახელით ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელს, ბატონ გაიოზ დვალიშვილს მხარდაჭერისა და გვერდში დგომისათვის.

მოამზადა ნანა მელიქიძე

დაუვიწყარი საღამო ვაჟა-ფშაველას ხსოვნას მიეძღვნა

ივლისს მიწურულს ნაღვერის საქალაქო კულტურის სახლის სცენაზე ვაჟა-ფშაველას განვლილმა გზამ და ზოგჯერ სიმღერად დაწერილმა ლექსებმა თითოეული მაყურებელი კიდევ ერთხელ დააფიქრა პოეტის სიტყვებით გადმოცემულ მრავალ სათქმელზე.

ნაღვერის კულტურის სახლის ხელმძღვანელმა ქალბატონმა **დალი ქასაშვილმა,** მისი საყვარელი პოეტის სიყვარულით, ნღვრების შემდეგ პირველად, სწორედ ვაჟასადმი მიძღვნილ საღამოზე, სევდანარევი ხმით ფანდურზე ისევ დაუკრა.

შემოქმედებითმა ჯგუფმა სცენაზე გაწყობილი მნიშვნელოვანი ელემენტებით ვაჟასთან ჩარგალში გვამოგზაურა. აქ, ერთმანეთს სასიამოვნოდ ეხაცვლებოდა ნაცნობი და უცნობი ამბები ლუკა რაზიკაშვილზე, მუსიკალური ნომრები ახსამბლი **„თილისმას“** შესრულებით, ღონისძიებაზე მოწვეული პოეტის **იზო სარქისიანის,** მხრლისა და პუბლიცისტის **უშანგი ჯანგირაშვილის** მიერ სტრიქონებში გაცოცხლებული ვაჟას ბუნება.

სიმღერის **„იას უთხარი ტურფასა”** შესრულებისას საღამოს ყველაზე პატარა მონაწილემ **ელენე გელაშვილმა** მისი ნკრიალა ხმით დაატკბო მსმენელი.

მადლობა სასიამოვნო წუთებისთვის ღონისძიებისა და სცენარის ავტორს ქალბატონ **მედეა ხუჯაძეს,** რომელმაც შეგვახსენა, რომ ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 163 წელი, ხოლო გარდაცვალებიდან 109 წელი გავიდა.

ვაჟაზე ბევრი წამიკითხავს და ბევრიც მისწავლია, მაგრამ ამ საღამომ სხვა ემოცია დამიტოვა და სხვა თვალით დამანახა ჩვენი დიდი პოეტი **ლუკა რაზიკაშვილი.** ეფიქრობ, უნდა გახმეორდეს ყოველი წლის ივლისის თვეში, ვაჟა-ფშაველას საღამოები, რადგან სწორედ ივლისის თვეს დაიბადა და გარდაიცვალა პოეტი, „ვაჟობასაც“ ამ თვის 14 რიცხვში აღნიშნავენ ფშავში.

საოცარი შესრულებით მოვისმინეთ ფშაური დატირება და ვაჟას ლექსი თავისი ისტორიით, თუ როგორ დაიწერა:

დამისხი, დამალევინე,
ე ღვინო ოხერ-ტიალი,
ეგეცა წაღმა ვიფიქრო,
სოფლის უკუღმა ტრიალი!

ღონისძიებას ესწრებოდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე კულტურის დარგში **გიორგი ბუგანიშვილი,** საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი **ნარა ამანათაშვილი,** ბორჯომის საელოტბარო სკოლის ხელმძღვანელი **ლელა მუხურაძე,** ადგილობრივი სახალხო მთქმელები, პოეტები, საზოგადო მოღვაწეები და ნაღვერის მოაგარაკეები.

საღამოს დასასრულს ქალბატონმა დალი ქასაშვილმა საზოგადოებას ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსი „მონატრების წერილი ვაჟას“ - ნაუკითხა, რომელიც 2011 წლის ივლისშია დაწერილი.

მომნატრებიხარ ვაჟაო,
შენი ლექსების წიგნიდან,
შენი გონების კარნახით
ამონაქარგი სიტყვიდან.
შენი ნათქვამით ვსაზრდოობ,
შენს სიბრძნეს ვირჩევ მრჩევლადა,
ბარის წუწუნს მსურს გავექცე,
რაში ვაგელვო ველადა.
მთას მინდა მივცე თავია
შენს ნატერფალებს ვეფერო
მივესაღბუნო შენს „შვლის ნუკრს“,
„ხმელ წიფელს“ წყალი ვასკურო.
წყაროს დავაკვდე შენს ნასვამს,
შენს მწვანე კორდებს ვეფერო,
ვიფხიზლო ღღით და ღამითაც,
რომ მტერ არ შამოგვეპაროს.
შენს საფლავს ძღვენად მივართვა
სანთლები მნკრივის მნკრივადა,
უფლის უბეში ჩაკრულხარ,
მთას მობნევიხარ მძივადა.
შენი სიტყვების დაფა ვარ,
ზედ დაბნეული ცვარ-ნამი,
ათასჯერ მინდა ამოვთქვა
ეს სიბრძნე შენგან ნათქვამი.
„როცა გულს ცეცხლი მედება,
გონება მსჯელობს სალადა,
მაშინ ვარ თავისუფალი,
თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა“.
მოამზადა იზა იანვარაშვილმა

მომაკვდავი ბაცილა ჩვენი ახალგაზრდობისათვის!

ნარკოტიკი ადამიანების სიყვარულში ვპოვოთ



ნარკომანია - დაავადება თუ დანაშაული?.. ერონი დაავადებად თვლიან, მეორენი - დანაშაულად. მსოფლიოში ამაზე უფრო მტკივნეული თემა არ მეგულება, უმძაფრესი კატასტროფული მაჩვენებლით...

ნარკობიზნესში ჩართულმა ადამიანებმა სული გიიხადეს და მხოლოდ სამოსი დიატოვეს შესამოსელად... სატკივარი თემაა ჩვენი პატარა ქვეყნისთვისაც - ნარკომანია/ნარკოდილერები/კურიერები/მომხმარებლები/(ჯაჭვური კაკბირი სამეულის) - ამ საქმის რეალიზების სქემაში დაქსაქსულნი...

საკმაოდ მდიდარია ნარკოსცენა, როგორც ქართული, ისე გლობალური. რაც მსოფლიო ბაზარზე ჩნდება, ყველაფერი შემოდის ჩვენთან. კვლავ დიდი პრობლემაა „ფენტალინის" მოხმარება, ისევ ფართოდ მოიხმარენ კლუბურ ნარკოტიკებს, ისევ პრობლემატურია „ალფა პეპ"-ის მოხმარება, როგორც კლუბებში, ისე გარეთაც. მას ინექციურადაც იყენებენ და ამიტომ უფრო მაღალი რისკის შემცველია.

ყველას ეხება ეს თემა, უცხო არავისთვის არაა, პირადად ოჯახის წევრი თუ არა, მოგვეძებნება სამეზობლოში, ან უბანში, ან ქალაქში მსგავსნი... ნადგურდება ჩვენს გარშემო ჩვენივე ახალგაზრდობა, ილუპება მომავალი. ამას უნდა ებრძოლოს ყველა!

ნარკოტიკი კლავს! კლავს ყველანაირად! კლავს ყველა და კლავს ყველას!

გისოსებს იქით უნდა ამოლაპე ყველა „ბარიგა", ვინც ამ გზით მოულობს ფულს და ამ სიკვდილიან-ჯოჯოხეთური ფულით სიხარულსა და ბედნიერებას ყიდულობს თავისთვის ან თავისი ოჯახის წევრებისათვის!

ნარკომანია - „ძილი", „გამოშტერება", „სიგიჟე", „ლტოლვა", „მიდრეკილება". ფსიქიკური ლტოლვა გამოიხატება ნარკოტიკზე გამუდმებული ფიქრში, დათრგუნვილობაში, ნარკოტიკის უქონლობის დროს დაუკმაყოფილებლობის გრძნობაში და მისი მიღების მოლოდინით წინასწარ ტკბობაში.

აქ საუბარია, როგორც ახალგაზრდა, მოზარდების ფსიქოლოგიაზე, ისე სტაჟიანებზე. რასაც დასაშვებად მიიჩნევენ, იმას მოიხმარენ და გასინჯავენ.

სახელმწიფოს შშობლის პოზიცია უნდა ჰქონდეს და არ უნდა უყუროს იმას, ამერიკაში ან ჰოლანდიაში რა არის დასაშვები და რა არა. თუმცა, ჰოლანდიაში სტატისტიკურად ყველაზე ნაკლები ნარკომანი ჰოლანდიელია.

ამდენი უსაქმურ-უმუშევარი რომ ბყავს ცდუნების და მიმბაძველობის რისკიც ხომ მეტია. რაღაცნაირად, რაც მეტს ვხმაურობთ, მით მეტი პროპაგანდა გამოგვდის.

მარიხუანას მოწევამ მიჩვევა იცის და მერე 90% უფრო მძიმე ნარკოტიკებზეც გადადის.

ჟენევაში ქალაქის ცენტრში შენობაა, ნებისმიერს შეუძლია მივიდეს, თუ უნდა მოწოოს, თუ უნდა გაიკეთოს, შეუძლია ჭამოს, დაიძინოს, იბანაოს და ა.შ. ანუ იქ თვლიან, რომ ბომჟია და ქუჩაში გაგდებას, მათ შენობაში ყოფნას ამჯობინებენ.

უსაშველო გვჭირს უკვე რაღაც! ახალგაზრდა თაობის ნაწილი განნირულია, შველა ჭირდება, სანამ ძალიან გვიანი არაა.

ვთხოვთ, საქართველოს მთავრობას მიიღოს შესაბამისი ზომები, დაამატონ საკანონმდებლო ცენტრები, გადაამზადონ ფსიქოლოგები და ფსიქიატრები. იპოოონ პროფესიონალებმა გამოსავალი, თორემ ყველა ზღვარი დაირღვა, რამდენი ახალგაზრდა დაიღუპა უახლოეს წლებში.

ყველას წყალი აქვს პირში დაგუგებული და დუმან. ხშირად, ვიითომ კლუბური, მსუბუქი ნარკოტიკით იწყება ყველაფერი და ფატალურად სრულდება! ილუპება თაობა და ქვეყანა.

საქართველოში, ოფიციალური გამოთვლებით, ნარკოტიკების 51000-ზე ცოტა მეტი მომხმარებელია. შემოტანილი ნარკოტიკების შემქმნელები უდიდესნილად რუსეთი და ჩინეთი არიან. ამასთან, ნარკოტიკის ქიმიური შემადგენლობა ხშირად იცვლება, რაც კრიტიკულ ვითარებაში ექმიმეს საქმეს ურთულებს. ნარკოპოლიტიკა სისტემურ რეფორმას საჭიროებს, ნარკომანიასთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლა უნდა გამოაცხადოს ჯერ სახელმწიფომ, რადგან საქართველოში ნარკოპოლიტიკა კვლავ რეპრესიული ხასიათისაა და ის წამალდამოკიდებული ადამიანების დასჯისა და საპოლიციო კონტროლის ლოგიკაზე დგას.

საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა თითქმის 24% სასჯელს სწორედ ნარკოტიკული დანაშაულისთვის იხდის, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქვეყანაში ნარკოტიკულ ნივთიერებებებთან მიმართებით სახელმწიფო პოლიტიკის არსებითი ცვლილების აუცილებლობას.

ადამიანთა ტანჯვჯვის დასასრული არ აქვს. ასეთების სიცოცხლე ხომ სიცოცხლეშივე სიკვდილის ტოლფასია.

ნარკომანიის მძიმე ფორმის მკურნალობა ხშირად უშედეგოა. სპეციალიზებულ კლინიკაში გამოყენებადი მეთოდიკა კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია ქმედითი, თუ თავად ავადმყოფია მოხდომებული.

გასაცოდავებული მომხმარებლის შემთხვევაში კი ხდება პიროვნების დემორალიზაცია, რომელსაც ენგრევა როგორც ფსიქიკა, ისე ჯანმრთელობა და სოციალიზაცია. მისი ბოლო ან ციხე ან ტანჯვჯვი სიკვდილია... ის იქმნის თავისთვის ილუზიურ-ჰალუცინაციურ-დეფორმირებულ სამყაროს და საკუთარი თავის დაშავებით (ბევრისგან მსმენია, ნარკომანი თავის თავს უშავებს, სხვას ხომ არაო - სრული იდიოტიზმი!) კიდევ მეტს უშავებს გარშემომყოფს - ოჯახის წევრებს პირველ რიგში, შემდეგ კი დანარჩენებს...

ერთადერთი გზა/მეთოდი/პროგრამა/ - გამოსავალი ხარ შენ!

შენ უნდა თქვა ნარკოტიკზე უარი! კურიერობაზეც შენ უნდა თქვა უარი! ბარიგობაზე კი ჩვენ უნდა გათქმევინოთ უარი! - ერმაც, ბერმაც და სახელმწიფომაც!

გავერთიანდეთ და ერთად დავამარცხოთ ეს საზარელი ურჩხული, რომლის ხახაშიც თავად თუ სხვისი დახმარებით ჩაცვივდნენ ადამიანები...

უარი თქვი ნებისმიერი ნარკოტიკის მიღებაზე ნებისმიერი ფორმით, ადამიანო! გაითვალისწინე სამი ობიექტური რეალობა:

1. არანაირი წამალი/პროგრამა/დეტოქსი ნარკომანსა ვერ მოარჩენს;
2. ნარკომანია განაჩენი არაა, ის შეიძლება დაძლიო;
3. ნარკომანიის მორჩენა შეუძლია მხოლოდ ნარკომომხმარებელს!

ეს სინთეზური ნარკოტიკი კი მსოფლიო ეპიდემიაა - მეფედრონი, სუბოტექსი და მსგავსნი... ერთ-ერთი, მაგალითად, მეტადონი (შენც იცი) ნარკოტიკს არ გადაგაჩვევს. მისი არასწორი პროგრამა კი ნელი სიკვდილით მოგკლავს. თავს ნუ „„იბოლებ", რომ მკურნალობ!

ეს პროგრამაა, რომელიც ამბობს, ნარკომანია? ეი. იყოს ეს ნარკომანი ზომიერ კაიფში (მაინც კაპიკები ღირს), ეგდოს თავისთვის, კუთხეში, მთავარია, სხვას არ წამოედოს ფეხებში და არ ჩაიდინოს სისხლის სამართლის დანაშაული „ლომკის" გამო. ამ გზაზე ადვილად სვამენ „პოტენციურ გამოსწორებად ადამიანებს" და მათ სუბსიციალურ არსებებად აქცევენ ამით...

არა ნარკოტიკს! მეტი ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრება და მეტი ჯანსაღი აზრი და მეტი ჯანსაღი მომავალი! გადაარჩინეთ საქართველო ამ სატანის შხამისაგან!

ჩემი შარიხუანა ადამიანების სიყვარულშია...! ყველაზე კარგი კაიფი, საღი გონებით კაიფია, როცა ბედნიერებას აცნობიერებ. აქვე, დავურთავ ერთი ნარკომანის სევდიან აღსარებას:

"...დღეს მივხვდი, რომ ასე მარტივად ვერ გავიმარჯვებ საკუთარ თავთან ბრძოლაში, რადგან მეც ძლიერი ვარ და მეორე მეც.

ეს ის დილაა, რომელიც არ იწყება გადახლართული ფეხების ფერთა კონტრასტით,.. თუმცა წარმოსახვა ჩვეულ დილებზე გაცილებით ბნელია. თითქოს რომელიღაც, ძველი, მეტისმეტად სენტიმენტალური ნიგნის პერსონაჟები ვართ, რომელიც ამავე რომანდან განგვდევნეს და მოვხვდით იქ, სადაც არ უნდა ვიყოთ. ან იქნებ სწორედ იქ ვართ, სადაც უნდა ვიყოთ. გასაღებების აცმა ხელში გვიჭირავს და უბრალოდ გვეზარება ცხვირწინ აღმართული კარისთვის შესაფერისი მათგანის მორგება.

...ეს კიდევ ერთი დილაა... როცა მე კედლისკენ ვტრიალდები და ამავე ნიგნისთვის უკვე შეუფერებელი სიცივით ვიშორებ ზურგზე მოკრულ დამნაშავე სხეულს.. ყველაზე დრამატული და ნეგატიური ემოციებით დახუნძლული - ეს აგრესიაა, დამნაშავე ობიექტის გარეშე, როცა საბოლოოდ ისევ საკუთარი ორგანიზმის დასჯა გიწევს, ნარკოტიკის ნვეთოოვნი ჯერიით! მერე, მოჩვენებითი იდილია დაისადგურებს მორიგ გამოფხიზლებამდე...

ნეტა, რა ხდება „იქ"? არასაკმარისი არგუმენტაცია მაქვს საკუთარი თავის დასარწმუნებლად იმაში, რომ არ მაინტერესებს, თუმცა ჩემივე, მისკენ ჩუმად გაპარებული მზერაც მწყინს... მოკლედ, არასაკმარისი ჯერია დოპინგის, მეც საკუთარ თავს მორიგ დუელში ვინნევე - მძიმე და მწარე ყურით მოთრეული ბიზეები...

ამ დროს ყველაზე კარგი სახლში ყოფნაა და სევდიანი ფილმით ცრემლების „გაპარვებაც" საუკეთესო გამოსავალი, თუმცა, როცა არც ფილმია და არც გაპრავება, ყელში გაჩრილი ბურთი ჰაერის ღრმა ნაფაზებით ისევ უკან უნდა ჩააბრუნო. საშინელი პროცესია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამავე ბურთს სხვა, შენთვის საყვარელ ყელშიც ხედავ გაჩრილს...

...გულისრევის შეგრძნება მაქვს... თითქოს შეგნებულად ვჭამე ძალიან ბევრი, უვარგისი საკვები და მინდა, რომ ფიზიოლოგიური მიზეზი მქონდეს ცუდად ყოფნისა... გუშინ საღამოს მინდოდა, რომ ყველაფერი ერთი ხელის მოსმით დასრულებულიყო, არა იმიტომ, რომ რამემ თავისი თავი ამოწურა, უბრალოდ მინდა, რომ ბედნიერების პიკზე შეწყდეს ყველაფერი, საღამ ნელი ან სწრაფი ტემპებით ისევ საწყის ნიშნულს არ დაუბრუნდება...

დღეს მივხედი, რომ ასე მარტივად ვერ გავიმარჯვებ საკუთარ თავთან ბრძოლაში, რადგან მეც ძლიერი ვარ და „მეორე მეც"... იმასაც მივხედი, რომ იდეალური გარემო ყველაზე წარუმატებელი ადგილია ემოციების სიმძაფრეში დასარწმუნებლად. თუმცა ეს ყველაფერი დროებითია და მოჩვენებითი, ისევე, როგორც სამყარო, ბედნიერება, მელანქოლია და სხვა ყველაფერი... დროებით გეშმეგიდობებით, თქვენც და ამ მეტაფორულ სამყაროსაც და რეალობას ვუბრუნდები... ან ვერ ვუბრუნდები... ვერც ვაცნობიერებ, როდის გადაიზარდა ფიზიკური კმაყოფილება ქიმიურ ჯადოქრობაში. ეს ის ნარკოტიკია, რომელიც ერთი შეხედვით არა ჰალუცინოგენურია და შენც ნელ-ნელა ეპარება, მერე ხვდები, რომ ღრმად შეტოპე და შენს დამოკიდებულებაზე მეტად მისი გაშინებს და მედლის ორივე მხარეც, რომლის მიხედვითაც: ნარკომანიც ხარ და ნარკოტიკიც.

მე მქვია გურამი.
და მე ნარკომანი ვარ."

„...იქ სადაც ჩვენი ტკივილი წყვეტს არსებობას, ზეცა იწყება"-ო.... თუმცა,.. ხელმოსაჭიდი უნდა ჰქონდეს ცასაც სათავისოდ, რომ „ჩაგიჭიდოს"... ეს ხელმოსაჭიდი კი... ჩვენივე სულია...

მოამზადა **ნანა კევლიშვილმა**

პოზიტიური კულტურის განვითარებისათვის

მზია კობრავა 1991 წლიდან დღემდე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელია. მას მალევე გამოარჩევ მოსწავლისადმი დამოკიდებულებითა და მასწავლებლის გამორჩეული თვისებებით. სწორედ მისი ღირებულებების, საქმისადმი ერთგულებით დასახელდა მასწავლებლის პრემიაზე წარდგენილ 6 პედაგოგს შორის.

მისთვის დამატებითი მოტივაციაა ბორჯომის რესურსცენტრის ფრენბურთოის გუნდის წევრობა და სპორტის სამსახურის მიერ ორგანიზაციებს შორის ყოველწლიურ სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა.

ჩვენი რესპონდენტი გვეუბნება, რომ როდესაც სპორტით ხარ დაკავებული, მავნე ჩვევებისადმი ინტერესი მინიმუმამდე მცირდება.

- ფიზიკური აქტივობა გადამწყვეტ როლს თამაშობს მოსწავლის მოტორული და გონებრივი (შემეცნებითი) უნარების ჩამოყალიბებაში, აძლიერებს იმუნიტეტს, ავითარებს ტკინის უჯრედებს, კუნთებსა და აჩქარებს ნივთიერებათა ცვლას, აუმჯობესებს გულსისხლძარღვთა სისტემასა და ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობას.

ფიზიკური აღზრდა ზოგადი აღზრდის შემადგენელი ნაწილია და მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო დისციპლინაა.

სპორტის გაკეთილების მეშვეობით კარგად შეიძლება ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა-განვითარება მოსწავლეებში და ისეთ სოციალურ პრობლემებთან ბრძოლა, როგორიცაა ნარკომანია და კრიმინალი. ამიტომ ხშირად ვაწყობ ლაშქრობებს, სადაც სპორტული აქტივობის გარდა მოსწავლეები თვითონ ამზადებენ ჯანსაღ საკვებს და გაკვეთილზე მიღებულ თეორიულ ცოდნას მარტივად იყენებენ პრაქტიკაში. ვეხმარები მოსწავლეებს ჩაატარონ კვლევები და პროექტების მეშვეობით უფრო მეტი ინფორმაცია მოიპოვონ სპორტის ისტორიისა და სახეობების შესახებ. მოსწავლეების მიერ ნლების განმავლობაში შეიქმნა უამრავი პროექტი, მათ შორის იყო: ,,მავნე ჩვევები", ,,ჯანსაღი კვება", ,,თამბაქოს მავნებლობა", ,,ჩემი საყვარელი სპორტსმენი", ,,პოპულარული სპორტსმენი", ,,ნამთრის ოლიმპიადები", ,,ბაკურიანის ჩემპიონატი" და სხვები.

ჩემთვის მნიშვნელოვანია შევქმნა პროფესიული პრაქტიკა და გამოცდილება გავუზიარო კოლეგებს. თანამშრომლობითი გარემოს ხელშეწყობის მიზნით ვცდილობ მივიღო ყველა გამოწვევა.

მოსწავლეებისა და მასწავლებლის არა ერთი გამარჯვება არის მთავარი მოტივატორი - მოგვიყევით მიღწეულ წარმატებებზე, რომელებიც დიდ ემოციებს უკავშირდება.

- ვმონაწილეობდი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს სპორტის, ფიტნესის და ფიზიკური განათლების ასოციაციის მიერ ჩატარებულ მასწავლებელთა კონფერენციაზე ,,ოლიმპიური ფესტივალი სკოლებში". ჩემი საკოხფერენციო თემა გახლდათ ,,მძლეოსნობა-ხტომები", სადაც რეგიონის 13 მონაწილეთაგან ჩემმა წარდგენილმა თემამ I ადგილი დაიკავა და გადმომეცა სამცხე-ჯავახეთის თასი და სერთიფიკატი.

მონაწილეობა მივიღე ოთხდღიან სემინარზე ,,სკოლისა და განათლების პოლიტიკის ადვოკატირების შესაძლებლობების განვითარება საქართველოში, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირთან თანამშრომლობით" 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევები".

აღნიშნულ სემინარზე მიღებული ცოდნა დამეხმარა მონაწილეობა მიმეღო საერთაშორისო კონფერენციაში მომხსენებლად ,,დანიური ნარმატებული პრაქტიკის დანერგვა საქართველოს სკოლებში მომავალი განვითარებისათვის". აღნიშნული კონფერენციის ფარგლებში სკოლაში ჩავატარე ინტეგრირებული გაკეთილი. ინტეგრირება მოხდა 3 საგანს შორის - ბიოლოგია, ფიზიკა, ფიზ. აღზრდასა და სპორტს შორის. პროექტი დამეხმარა, რომ ბავშვებს დაენახათ, თუ რამდენად მჭიდროა კავშირი სპორტსა და სხვა საგნობრივ დისციპლინებს შორის.

მონაწილეობა გვაქვს მიღებული სასკოლო სპორტული ოლიმპიადების სახეობებში: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა-გეზრბები, როგორც გოგონათა, ისე ვაჟთა გუნდებს შორის, სადაც ყოველთვის საპრიზო ადგილების მოპოვებითა და გამარჯვებებით ვბრუნდებით.

2022-2023 წლის სასკოლო სპორტულ ოლიმპიადებზე ბორჯომის №1 საჯარო სკოლის ვაჟ ფრენბურთელთა და გოგონათა კალათბურთელთა გუნდებმა რაიონის პირველობა მოიპოვეს და რეგიონალურ თამაშებზე ბორჯომის სახელს იცავდნენ. კალათბურთელ გოგონათა გუნდი რეგიონის ჩემპიონიც გახდა და ასპარეზობა განაგრძო აღმოსავლეთ საქართველოს თამაშებზე. გამარჯვებისათვის ყველა ეტაპზე მოსწავლეები დაჯილდოვდნენ მედლებითა და დიპლომებით. დიპლომი და მედალი გადმომეცა მეც, როგორც გამარჯვებული გუნდის ხელმძღვანელს.

იგივე წარმატებებით გავიარეთ ნლევანდელი 2023-2024 წლის სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რაიონული თამაშები და მონაწილეობა მივიღეთ რეგიონალურ ეტაპზე მძლეოსნობა-გეზრბები; ფრენბურთი და კალათბურთი (გოგონათა გუნდები). 31 მაისს აღმოსავლეთ საქართველოს თამაშების დასკვნით ეტაპზე მივიღეთ მონაწილეობა კალათბურთელ გოგონათა გუნდთან ერთად.

საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ რაიონის მასშტაბით ჩატარებულ ,,თავისუფლების თამაშები - 2024" ჩვენი სკოლის კალათბურთელ ვაჟთა გუნდის გამარჯვებით დასრულა და ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს. დაჯილდოვდნენ თასით და სიგელებით.

აქტიურად ვთანამშრომლობთ ეროვნულ ფედერაციასთან - ,,სპორტი ყველასათვის" და მის პრეზიდენტთან ოლიმპიურ ჩემპიონ ქალბატონ მაია აზარაშვილთან. ეროვნული ფედერაცია ,,სპორტი ყველასათვის" მიერ ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებებში, მოსწავლეებმა დაიკავეს საპრიზო ადგილები და დაჯილდოებულები არიან სამახსოვრო სერთიფიკატებით.

ამასთან მზია კობრავა ბორჯომის საჯარო სკოლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების კოორდინატორია. იგი კოორდინირებას უწევს ინოვაციური სასწავლო პრაქტიკის დანერგვას სკოლებში და საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ინიციირებულ ყველა აქტივობას.



- ჩემთვის, როგორც მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია მხარი დავუჭირო განათლების სისტემის განვითარებას, შევქმნა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო და ხელი შევუწყო სკოლაში პოზიტიური კულტურის განვითარებას. ეს უწყვეტი პროცესია და მომავალშიც აქტიურად ვიქნები ჩართული სკოლაში უნივერსალური ეთიკური ღირებულებებისა და უსაფრთხო, სამართლიანი და მზრუნველი გარემოს შექმნის პროცესში, - ამბობს ქალბატონი მზია.

მზია მასწავლებელი ყოველთვის უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტის შესაბამისად დაგეგმოს მოსწავლეებისათვის საინტერესო და სახალისო აქტივობები. მოსწავლეები მაქსიმალურად ჩართულნი იყვნენ სპორტულ ღონისძიებებში, რათა მათ პრაქტიკულად დაინახონ სასკოლო სივრცეში მიღებული ცოდნის მნიშვნელობა.

იზა იანვარაშვილი

ვ უ ლ ო ც ა ვ თ!

ღვაწლმოსილ ჟურნალისტს, საზოგადოებრივი საქმეების აქტიურ მონაწილეს, თავისი მშობლიური ბორჯომის ერთგულ ქომაგს, ლომძიეების ღვთივკურთხეული გვარის ღირსეულ წინამძღოლს და სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის წევრს, ბატონ

ვალიკო ლომბიძეს

ვულოცავთ დაბადების დღეს!

იგი საგვარეულო საქმეების ერთგული მსახურია და მას სწორედ ისეთი გულმხურვალება აქვს, როგორიც ღირსეულ გვარიშვილსა და მითუმეტეს გვარის ღირსეულ წინამძღოლს უნდა ჰქონდეს.

იგი საკმაოდ დიდი ასაკის მქონეა და ეს ასაკობრივი სიდიდე მისთვის ტვირთი კი არა, არამედ ცხოვრების ის დიდი გამოცდილებაა, რომლის გამოცდილებითაც ბატონი ვალიკო თავის ჟურნალისტურ და საზოგადოებრივ საქმეებს უძღვება.

სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი კეთილგანწყობითა და საუკეთესო სურვილებით ულოცავს მას დაბადების დღეს და მხარდაჭერას უცხადებს!

ირაკლი ბრეგვაძე

პატივისცემით, სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის ხელმძღვანელი

ხუთ ათეულ წელზე მეტია, რაც გაზეთს მართავს, ,,ულის, დაჰფოფინებს და დღემდე მოაქვს ტკბილ-მწარე სიტყვით. ამ ხნის მანძილზე რამდენჯერ განაახლა რედაქცია, რამდენჯერ გადაარჩინა და მოიტანა დღემდე.

გაზეთი „ბორჯომი"" და მისი რედაქტორი, **ვალერიან ლომბიძე** განუყრელები და ლამის თანაშეზრდილები არიან!

...არა და არ დადო კალამი, არ მოიწყინა, არ მოიბეზრა გაზეთისადმი ერთგულება.

ფიქრობ და გიკვირს, რანაირად შეძლო ეს?! სხვა სამსახურისკენ არც კი გაუხედავს. გაზეთი იყო მისი საზრუნავი!

რაც დრო გადის უფრო მეტად აფასებ.

ნაკლებად კრიტიკული ხარ და მოგწონს კიდეც თუ რაიმეს თავისებურებად უთვლიდი. მეტად გინდა მოეფერო, მეტი თბილი სიტყვა გინდა უთხრა, მეტი, მეტი გემეტება სიყვარულიც, მოკითხვაც... გინდა, რომ არ დაიღალოს, მხნედ იყოს და დიდხანს აკეთოს ის საქმე, რასაც ასე ერთგულად შეაბერდა. ასაკით, თორემ სხვა მხრივ ვინ თქვა მისი სიბერე. ყოველ დილით ძველებურად მიიჩქარის რედაქციისკენ და საღამოსაც ასევე ყოჩაღად ამოივლის სახლისკენ მიმავალ აღმართს.

გილოცავთ, კიდევ ერთ მითვლილ წელს, ბატონო ვალიკო, აბა , თქვენ იცით, როგორი შემართებით გააგრძელებთ სავალ გზას.

სამაგალითო ხართ თქვენი ენერგიით, საქმის ერთგულებით და ჟინით. ბორჯომისა და ბორჯომელების სიყვარულით. ჰოდა, დიდხანს ყავდეთ თქვენს საყვარელ ბორჯომს!

მაია ორთოიძე,
№1 საჯარო სკოლის პედაგოგი

ფერაძეების ღვაწლმოსილი ქალბატონი

ჩვენს ულამაზეს, უსაპეტაკესს, სულით ძლიერ ღირსეულ დედას და შვილიშვილების უსაყვარლეს ბებიას, დიდი და ლამაზი ოჯახის სათნო და კეთილ დიასახლისს, ღვთიური მადლით შემკულ ქალბატონს

ჯულიეტა ფერაძეს

ვულოცავთ დაბადების დღეს

დღეგრძელობა და მზეგრძელობა მოგმადლოს უფალმა შენს დიდ და ლამაზ ოჯახთან ერთად, შენს საამაყო მშრომელ მეუღლესთან ზაურ ლაზარაშვილთან ერთად.

იცოცხლეთ და იხარეთ მრავალჟამიერ"

შენი ფერაძეები.

შენ სიწმინდე ხარ, სხივი ნათელი,
ხარ ანთებული წმინდა სანთელი.
შენ ხარ საუნჯე, ზოგჯერ ტკივილი,
აკვანში მწოლი ჩვილის ღიმილი.
უძლიერესო ჯო უნაზესო,
სიკეთით სავსე ხარ სათნოება,
დედაშვილობა გრძნობაა დიდი,
არ ინონება, არ იზომება.
მადლო ღვთიურო, სხივო ნათელო,
ცად ანთებულო წმინდა კანდელო,
მეუღლე ალბათ გულში მალულად
შენ „სულის" მკურნალს გეძახის.
სულ კაშკაშებდე სულ ანათებდე,
იყავ ჯანმრთელი და ბედნიერი,
ახლეს ოცნება: ერთ მუშტად იქცეს
ერი და ბერი, ბერი და ერი!
და იღვრებოდეს უკვდავ ჰანგებად
ჩვენი მრავალჟამიერი!
ამინ!

ოლია თოფურიანი

მადლობა ყველაფრისთვის და მშვიდობით

ფაბიმა კოზანაშვილის მოსაგონებლად

თეთრ სამოსში გამოწყობილი დერვიში ექსტაზის მომგვრელ მისტიურ ცეკვა-ბრუნვაშია. ოღონდ ნამდვილი დერვიში არ გეგონოთ, ეს ე.წ დერვიშის გამოსახულებიანი ტურისტული მაგნიტია, რომელიც ჩემს ოთახში სხვადასხვა წვრილმანებთან ერთად სანოლის რკინის თავზეა მიმაგრებული. ეს საჩუქარია. თაბრუდამხვევად მბრუნავი დერვიშის მაგნიტი და აღმოსავლური ნაქარგით განყობილი ნიგნის სანიშნი კაბადოკიიდან რამდენიმე წლის წინ ჩემმა მასწავლებელმა ფატიმა კოზანაშვილმა ჩამომიტანა...

დერვიში ისევ ცეკვავს, მაგრამ ფატიმა მასწავლებელი აღარ გვყავს. ის აღარ ყავს ბაკურიანს, დიდსა თუ პატარას, სკოლის მოსწავლეებსა და ხანში შესულ ბაკურიანელებს. ყველამ ვიცით, რომ ხშირად ცხოვრება ვერაგულად გვექცევა თითოეულ ჩვენგანს, მაგრამ მაინც გაოგნებული ვიძახი: „რატომ? როგორ შეიძლება ასეთი რამ მომხდარიყო?". შაბლონურად მეჩვენება ფრაზა, რომელსაც გამოთქვამენ გარდაცვლილი ნაცნობ-მეგობრების მიმართ - „ის დააკლდა სოფელს/ქალაქს", მაგრამ ის ასეთი სიზუსტით და სიცხადით ფატიმა მასწავლებლის იმქვეყნად წასვლას მოერგო. ის მართლა დაგვაკლდა ყველს, ვინც ვიცნობდით და მომავალ თაობასაც, რომელსაც აღარ ექნება მისი გაცნობის ბედნიერება. ის დააკლდა მთელ ბაკურიანს.

„ფატიმა მასწავლებელი-პედაგოგი ღმერთისაგან ბოძებული ნიჭით" - აღნიშნა ერთ-ერთმა ჩვენმა თანადაბელმა და მთელი ბაკურიანი დაეთანხმა მას. სიტყვა „განათლებული" ძალიან მშრალად მეჩვენება ფატიმა მასწავლებლის აღსაწერად - ეს იყო ფართო დიაპაზონის მქონე ადამიანი, კრეატიული დამრიგებელი, კეთილშობილი ინტელიგენტი, ქალი და ოთხი არაჩვეულებრივი გოგონას დედა.

მთელი ბავშვობა და სკოლის პერიოდი ამ ოჯახის ნევრი პედაგოგებისაგან ვისმენდი, ვაყურადებდი, ვსწავლობდი. რამდენი თაობა დაზარდეს ჯერ ჟენია მასწავლებელმა და შემდეგ მისმა ქალიშვილებმა - ირინამ და ფატიმამ. ბედნიერი ვარ, რომ ისინი არა მარტო ჩემი მასწავლებლები იყვნენ, მათთან წლების განმავლობაში თბილი და ახლოლური ურთიერთობა მქონდა, რომელიც მათ შვილებზე გავრცელდა. ამიტომაც ასმაგად შემაძრწუნებელი იყო ჩემთვის უკვე ასაკოვანი, თვალისჩინდაკარგული ჟენია მასწავლებლისთვის სამძიმრის გამოხატვა, ირინა მასწავლებლის ჩუმი (როგორც ყოველთვის ჩვეოდა ნაზსა და ჰაეროვანს) დარდისა და ფატი მასწავლებლის მუდამ ლაღი და მხიარული, მაგრამ ამჯერად ძაღებში შემოსილი გოგონების ნახვა.

სიტყვები მართლა არ მყოფნის, იმის ნახევარსაც ვერ ვწერ, რასაც განვიცდი. მუდამ მოძენატრება ფატიმა მასწავლებელთან ჩვენებური საუბრები, ყოველთვის ისე გავიხსენებ, როგორც ცოცხალს.

გამძლეობა ოჯახს.

მუდამ თქვენი **რუსუდან სხირტლაძე**

P.S. განსაკუთრებული მადლობა თედო სამსონიძეს ფოტოსთვის.

ქართული ჭიდაობა

ღირსეულად დამსახურებული წარმატება

23 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით ბორჯომში, ღვაწლმოსილი ბორჯომელი ფეხბურთელის, ჯუნგლი ქართველიშვილის სახელობის ტურნირი გაიმართა. ტურნირში 2012 წელს დაბადებული პატარა ფეხბურთელები მონაწილეობდნენ. ამ დღეების მანძილზე ერთმანეთს 8 საფეხბურთო გუნდი შეეჯიბრა. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს ფოთის, გორის, ბათუმის, ხაშურის, ადიგენის გუნდებმა. ასევე ბორჯომიდან ორმა გუნდმა - ბორჯომის სასპორტო სკოლასთან არსებულმა ,,თორმა" და საფეხბურთო კლუბმა ,,ბორჯომმა" და ,,სულაქველიძის აკადემიამ". შეჯიბრი უმეტესავათო ბრძოლების აბმოსფეროში მიმდინარეობდა. საფეხბურთო კლუბი ,,ბორჯომი" ადიგენის ,,ზარზმას" შეხვდა, დაამარცხა 2:1, დაიკავა მესამე ადგილი. ფინალურ შეხვედრაზე კი ერთმანეთს შეხვდა სასპორტო სკოლის გუნდი ,,თორი" და გორის ,,გორი", სადაც ბორჯომის გუნდმა ღირსეული წარმატება მოიპოვა და მეტოქე 2:0 დაამარცხა და ღირსეულად დაეუფლა **ჯუნგლი ქართველიშვილის** თასს.

ტურნირის მონაწილეთა შორის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მიეკუთვნა ,,თორის" ფეხბურთელს **გიორგი კაპანაძეს**, ,,საუკეთესო ნახევარმცველის" ტიტული ხვდა ადიგენის ,,ზარზმას" ფეხბურთელს **ივა ხარაიშვილის**, ნომინაციაში ,,საუკეთესო მეკარის" პრიზი მიეკუთვნა **ივა ნოზაძეს**, ,,ლამაზი გოლის ავტორის" ჯილდო კი საფეხბურთო კლუბ ,,ბორჯომის" ფეხბურთელს **ნიკოლოზ დათუნიშვილს** ხვდა წილად.

როგორც ,,ა(ა)იპ ბორჯომის საფეხბურთო კლუბ 2013"-ის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვახტანგ მაისურაძემ** გაზეთ ,,ბორჯომთან" საუბარში აღნიშნა, სამომავლოდ იგეგმება ასევე სხვა სახელოვან ბორჯომელ ფეხბურთელთა ტურნირების გამართვაც. ჯუნგლი ქართველიშვილის ტურნირი წელს პირველად ჩატარდა და ის ყოველწლიურად გაიმართება.

ჯუნგლი ქართველიშვილს სერთიფიცირებული მწვრთნელის ლიცენზია ჰქონდა მიღებული და ბავშვებთან მუშაობა მისი მოწოდება იყო. სამწუხაროდ, ჯუნგლი ვერ მოესწრო თავისი სახელობის ტურნირის ჩატარებას. მისი ხსოვნა მომავალ ფეხბურთელებში წმინდად იქნება შენახული.

წარსულში ცნობილი ფეხბურთელის ჯუნგლი ქართველიშვილმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას მიუძღვნა და არაერთი სახელოვანი ფეხბურთი აღზარდა.

ტურნირს ესწრებოდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სამსახურების წარმომადგენლები, რომელთაც ტურნირის მონაწილეებსა და გამარჯვებულებს კუთვნილი ჯილდოები გადასცეს.

ვულოცავთ საფეხბურთო გუნდ ,,თორს" მარილაც ღირსეულ წარმატებას.

საუკეთესო მეკარე დასახელდა - **ივა ნოზაძე („თორი");**
საუკეთესო მცველი - **ნიკოლოზ დათუნიშვილი („ბორჯომი 2013");**
საუკეთესო თავდამსხმელი - **სოსო ღვინიაშვილი (გორის „გორი");**
საუკეთესო ფეხბურთელი ბომბარდირი - **გიორგი კაპანაძე („თორი");**
ლამაზი გოლის ავტორი - **ანდრია გაჩეჩილაძე („ბორჯომი 2013").**

ტურნირს ბორჯომის ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე **მამუკა ხითარიშვილი**, საკრებულოს დეპუტატები, მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობასთან ურთიერთობისა და ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელი **შალვა გოგოლაძე**, შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები და გულშემატკივრები ესწრებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ტურნირი ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ბორჯომი 2013"-ის ინიციატივით და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით გაიმართა.

ფეხბურთი სპორტის სახეობებში ერთ-ერთი პოპულარულია და გვწამს, სულ მალე ბორჯომს განახლებული და რეკონსტრურირებული სტადიონი ექნება, მაშინ ბავშვებსაც და მოზარდებსაც მეტი საშუალება ექნებათ უფრო სახალისოდ და წარმატებულად იასპარეზონ.

ნაბო მელიქიძე

კონსტანტინე (კოტე) ებრალიძის გახსენება

4 აგვისტო და 31 წელი უშენოდ. 27 წლის ასაკში დაგვტოვე კოტე და უკვე 57-ის გახდებოდი. წლები მართლაც რომ მხოლოდ ციფრებია... უკვე ორნიშნა და მძიმე. რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს ეს წლები იგივეა, რაც ცრემლშეუღებრალი დედის თვალები, ისევ მოლოდინით რომ გაჰყურებს გზას, უამრავი დაღვენთილი სანთელია. უფალს შენს ლამაზ სულს რომ ავედრებს და ის ფერადი ყვავილებია საფლავს რომ გილამაზებს.

უშენობა ოჯახის უსაშველო ტრაგედია და დარდია მარადიული, შეუგუებელი და გაუყუჩებელი ტკივილია სულის.

გილოცავთ, ჩვენო ღიმილის ბიჭო, კიდევ ერთ დაბადების დღეს!- შენი სიკეთე გინათებდეს სამყოფელს.

ამჟამადაც, ყვავილები, სანთლები და ვედრება უფალს, შენი სულიც დაანუსოს სავანესა მართალთასა...!

ებრალიძეების ოჯახი

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს,
რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomipress9@gmail.com რედაქტორის მაგივრ: ნატო მელიქიძე
ნომრის პასუხისმგებელი მორიგე: იზა იანვარაშვილი
კორექტორი: ნანა კევლიშვილი